მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის
საკონკურსო კომისია

ბრძანება:**ბ11. 5823032001**

თარიღი:**01/02/2023**

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისიის წევრთა რაოდენობისა და შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის „ე" პუნქტის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი" 52-ე მუხლის, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 38-ე მუხლის, „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-15 მუხლისა და „მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიაში საკონკურსო კომისიის შექმნისა და კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 30 იანვრის №ბ58.58230303 ბრძანების მე-3 პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის საკონკურსო კომისია განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

ა) საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე:
რობერტ კოტია - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ბ) საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:
ბონდო თოფურია - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მ/შ;

გ) საკონკურსო კომისიის წევრები:
გ.ა) მურმან წოწორია - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი;

გ.ბ) როლანდ წულაია - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შრომის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ვეტერანთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საქმეების სამსახურის უფროსი;

გ.გ) სიმონ რევია - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვისა და სტატისტიკის სამსახურის უფროსი;

გ.დ) ვანო კუდავა - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი;

გ.ე) თამარ წივწივაძე - მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსი;

გ.ვ) თამარ კვანტალიანი – საქართველოს საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული კავშირის მარტვილის მუნიციპალიტეტის პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე;

გ.ზ) გია კუცია - აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის და ურბანული განვითარების სამსახურის მუნიციპალური ინსპექციის განყოფილების უფროსი;

გ.თ) ივლიანე ხურცილავა - სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრი, ადვოკატი.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სენაკის რაიონულ სასამართლოში, (მის. ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).

რობერტ კოტია

საკონკურსო კომისია-კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი